

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 3

ქ. თელავი

2023 წლის 24 მარტი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე თინათინ ხანჯალიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლევან ბერძენაშვილი, დავით ლაღანიძე, მიხეილ დალუნდარიძე, ალექსანდრე შათირიშვილი, აბრამ მახარიაშვილი, ნატალია ბახსოლიანი, გელა ესიტაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ბაადურ რევაზიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ბაადურ გულიაშვილი, აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ზურაბ სახიაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე.

დღის წესრიგი

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს.თ. ხანჯალიაშვილი

მოისმინეს 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ

აზრი გამოთქვას: თინათინ ხანჯალიაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტი ითვალისწინებს სოფელ ლაფანყურში და ნაფარეულში არსებული, შემდგომი ექსპლოატაციისათვის უვარგისი, საბავშვო ბაღების შენობების დემონტაჟს. წარმოდგენილია ექსპერტიზისა და აუდიტის დასკვნები.

დემონტაჟს. წარმოდგენილია ექსპერტიზისა და აუდიტის დასკვნები. შენობების გასხვისება მოხდება პირობებიანი აუქციონის საშუალებით. დემონტაჟის ხარჯები დაიფარება ლიკვიდაციის შედეგად მიღებული მასალების ღირებულებით.

ზურაბ ენუქიძემ აღნიშნა, პროექტი წარმოდგენილია ერთიანი დანართის სახით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საჭიროა ორ დანართად ჩაშლა:

1. საპრივატიზაციო ნუსხაში შესატანი უძრავი ქონება.
2. პრივატიზების გეგმა.

ლევან ბერძენაშვილმა დააყენა წინადადება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

ლევან ბერძენაშვილის წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ხანჯალიაშვილი

თ. ხანჯალიაშვილი